

**საქართველოს კანონი**  
**„არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო**  
**ზედამხედველობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და**  
**დამატების შეტანის თაობაზე**

მუხლი 1. „არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი, N46, 3.12.1997, გვ. 72) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები და დამატება:

1. მე-2 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ა“ ქვეპუნქტი:  
„ა) განსაკუთრებული სამშენებლო რეგულირების ზონა – კურორტი და საკურორტო ადგილი, „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ვ“, „ე“, „ფ“, „რ“, „ტ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული ტერიტორია, ქ. თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში მოქცეული ტერიტორია.“

2. მე-5 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ბ.ა.ა“ ქვეპუნქტი:  
„ბ.ა.ა.) ორმოცდაათი ათასი ლარით – განსაკუთრებული სამშენებლო რეგულირების ზონაში ობიექტის მშენებლობის დაწყებისათვის სათანადო ნებართვის გარეშე.“

3. მე-5 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:  
„5. შენობა-ნაგებობების მოღიანად ან ნაწილობრივად ანგარიშის (დემონტაჟის) შესახებ არქმშენინსპექციის შივრ მიღებული დადგენილება უნდა აღასრულოს დამრღვევმა თავისი ხარჯებით. თუ დამრღვევი დადგენილ ვადაში ნებაყოფლობით არ აღასრულებს არქმშენინსპექციის დადგენილებას, დადგენილების აღსრულება განხორციელდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის აღსრულებისათვის დადგენილი წესით.“

4. მე-6 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:  
„1. არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში დაშვებული დარღვევის და დარღვევით მიყენებული ზიანის აღმოჩენისას შესაბამისი არქმშენინსპექცია დამრღვევს სთავაზობს დარღვევის და დარღვევით მიყენებული ზიანის ნებაყოფლობით გამოსწორებას 10 დღის ვადაში, თუ დამრღვევი უარს აცხადებს დარღვევის და დარღვევით მიყენებული ზიანის გამოსწორებაზე. არქმშენინსპექცია იღებს დადგენილებას დამრღვევისათვის საჯარო სანქციას დაეხსრებას შესახებ და აჯარიმებს მას.“

5. მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

6. მე-6 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. არქმშენისსპექციას დადგენილებით განისაზღვრება დარღვევით მიყენებული ზიანის გამოსწორების ვალდებულებების დაკისრების და საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით აშენებული, მიშენებული, დაშენებული, აღდგენილი, რეკონსტრუირებული ან/და დამონტაჟებული შენობა-ნაგებობების მთლიანად ან ნაწილობრივი დანგრევის (დემონტაჟის) საკითხები.“

7. მე-6 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. შენობა-ნაგებობების მთლიანად ან ნაწილობრივი დანგრევის (დემონტაჟის) ხარჯები დაეკისრება დამრღვევს. მასვე შეიძლება დაეკისროს არქმშენისსპექციის მიერ საქმის წარმოებისას გაწეული სხვა ხარჯებიც.“

8. მე-7 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 7. დაჯარიმების შესახებ დადგენილების გასაჩივრება არქმშენისსპექციის დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს 10 დღის ვადაში ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრებისათვის დადგენილი წესით. ამასთან, გასაჩივრება არ აჩერებს დადგენილების მოქმედებას.“

**მუხლი 2.** ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი